პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 167 (19608) ◆ კვირა, 20 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სპეციალურ სხდომაზე განიხილა მთავრობის კომისიის მოხსენება 1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ატომურ ელსადგურში მომხდარი ავარიის მიზეზების გამოძიების, მისი შედეგების ლიკვიდაციისა და ატომური ენერგეტიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

დაფიქსირებულია, რომ ავარია მოხდა ამ ელსადგურის მუშაკთა მიერ დაშვებული რეაქტორული დანადგარების ექსპლოატაციის წესების მთელი რიგი უხეში დარღვევების გამო. მეოთხე ენერგოblოკზე ღამით დაგეგმილ რემონტზე მისი გაყვანის დროს ეწყობოდა ექსპერიმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო ტურბოგენერატორების მუშაობის რეჟიმების კვლევასთან. ამასთან ატომური ელსადგურის ხელმძღვანელები და სპეციალისტები არც თავად მომზადებულან ამ ექსპერიმენტებისათვის, და არც შეუთანხმებიათ იგი შესაბამის ორგანიზაციებთან, თუმცა მოვალენი იყვნენ ეს გეკეთებინათ. დაბოლოს, თვით სამუშაოთა მოწყობის დროს არ უზრუნველუყვიათ ჯეროვანი კონტროლი და არც მიუღიათ უსაფრთხოების სათანადო ზომები.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრომ და სახატომენერგოზედამხედველობამ დაუშვეს უკონტროლობა ჩერნობილის სადგურის სამეთა მდგომარეობისადმი, არ მიიღეს ეფექტიანი ზომები, რათა უზრუნველეყოთ უსაფრთხოების მოთხოვნები, არ დაეშვათ ამ სადგურის ექსპლოატაციის წესებისა და დისციპლინის დარღვევები.

უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობას, უდისციპლინობას მოყვა მძიმე შედეგები. ავარიის შედეგად დაიღუპა 28 კაცი, ვნება მიადგა ბევრი ადამიანის ჯანმრთელობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ღრმა სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ახლობელ თანამესვეებს. მათ ოჯახებს სახელმწიფო ყოველმხრივ დახმარებას უწევს. მიმდინარეობს დიდი პროფილაქტიკური მუშაობა. მოეწყო რამდენიმე ასეული ათასი კაცის სამედიცინო გამოკვლევა. ამჟამად სამედიცინო დაკვალდების დიაგნოზი დაუდგინდა 203 კაცს, მათგან 30 ადამყოფი მკურნალობს კურსს ადგილ სტაციონარულ პირობებში.

რეაქტორის დანგრევას შედეგად მოჰყვა სადგურის ტერიტორიის ირგვლივ დაახლოებით ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე რადიოაქტიური გაჭუჭყიანება. ამ მწყობრიდან გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, შეჩერებულია საწარმოთა, მშენებლობათა და სხვა ორგანიზაციათა მუშაობა. მარტო ავარიასთან დაკავშირებული უშუალო დანაკარგები შეადგენს დაახლოებით 2 მილიარდ მანეთს. გართულებულია სახალხო მეურნეობის ენერგოუზრუნველყოფა.

პოლიტბიურომ ცნობად მიიღო, რომ სსრ კავშირის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ჩერნობილის ატომურ ელსადგურში მომხდარ ავარიაში ბრალეულ პირთა წინააღმდეგ, ეწევა გამოძიებას, რომლის დამთავრების შემდეგაც გამოძიების მასალები სასამართლოს გადაეცემა.

მუშაობაში დაშვებული დიდი შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგებიანი ავარია, დაკავებული თანამდებობიდან მოხსნეს სახატომენერგოზედამხედველობის თავჯდომარე ამხ. კულოვი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრის მოადგილე ამხ. შაშარინი, საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მეშკოვი, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ემელიანოვი. ამავე დროს ისინი მიცემული არიან მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში. პარტიიდან გაირიცხა ჩერნობილის ატომური ელსადგურის ყოფილი დირექტორი ბრიუხანოვი.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი ამხ. მაიორეცი, ჩერნობილის ატომური ელსადგურის ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან მოხსნის ღირსია. მაგრამ პოლიტბიურომ გაითვალისწინა, რომ იგი ცოტა ხანია მუშაობს ამ თანამდებობაზე და დაადო მას მკაცრი პარტიული სასჯელი, ამასთან გააფრთხილა, რომ თუ იგი არ გამოიტანს სათანადო დასკვნებს მომხდარი ამბებიდან, კიდევ უფრო მკაცრად დაისჯება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტს დაევალათ განიხილონ სხვა მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ავარიის შედეგების თვიდან ასაცილებლად დიდი და ენერგიული ღონისძიებების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა მოკლე ვადაში ძირფესვიანად შეცვლილიყო ვითარება ელსადგურსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის საშიში ზონიდან ევაკუირებული მოსახლეობისათვის შენდება საცხოვრებელი ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები: მას უნაზღაურდება მატერიალური ზარალი. წარმოებს საჭირო მუშაობა ადამიანთა შრომითი მოწყობისათვის.

დაზიანებული რეაქტორის მდგომარეობა საიმედო კონტროლს არის დაქვემდებარებული და არავითარ შიშს არ იწვევს. ხორციელდება რთული საინჟინრო ღონისძიებანი ავარიული ენერგოblოკის კონსერვაციისათვის.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს ელექტროსადგურის მოედნის გაწმენდა რადიაქტიური გაჭუჭყიანებისაგან, მიმდებარე ტერიტორიის, შენობების, ნაგებობების, მოწყობილობის დეზაქტივაცია. შესრულებულია გრუნტის აღებისა და ჩამარხვის, სპეციალური ქიმიური ხსნარებით ადგილმდებარეობის დამუშავების დიდი მოცულობის სამუშაოები. ამის შედეგად რადიაციის დონე რაიონებში, სადაც იგი ნორმაზე მეტი იყო, მკვეთრად შემცირდა, და ახლა მხოლოდ ჩერნობილსა და ზოგიერთ მიმდებარე პუნქტში აღემატება დასაშვებ ფარგლებს.

წყლის რესურსების დასაცავად, მდინარე პრიპიატის ნაპირებზე 20 კილომეტრის მანძილზე მიწაყრილების შექმნის გარდა, იგება ზღუდეების სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის აუზის საიმედო დაცვას.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილები ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ ღრმა გაგებით აღიქვა საბჭოთა ხალხმა. ეს გამოიხატა შრომითი კოლექტივების, თითოეული საბჭოთა ადამიანის მისწრაფებით შეიტანონ თავიანთი წვლილი დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში. ათასობით მოხალისემ გამოთქვა სურვილი უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა აღდგენითს სამუშაოებში.

საბჭოთა ადამიანებმა ავარიის შედეგების ლიკვიდაციის დახმარების ფონდში 400 მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს. ბევრი კოლექტივის მშრომელებმა უსასყიდლოდ იმუშავეს თავიანთი ცვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდად აფასებს თავდადებასა და შრომითს გმირობას, რომელიც მუშებმა, სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, სამხედრო მოსამსახურეებმა, სამედიცინო პერსონალმა, მომსახურების სფეროს მუშაკებმა გამოიჩინეს ავარიის ლიკვიდაციისა და მისი შედეგების დაძლევის სამუშაოთა შესრულების დროს. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ განსაკუთრებით თავგამოჩენილი ამხანაგები წარდგენილ იქნენ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისათვის.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარია სერიოზული გაკვეთილია, რომელმაც სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებს, სამეურნეო, საბჭოთა, პარტიულ ორგანოებს უნდა გამოტანილნა ამომწურავი დასკვნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ამოიწურა ელექტროსადგურის მოედნის გაწმენდა რადიაქტიური გაჭუჭყიანებისაგან, მიმდებარე ტერიტორიის, შენობების, ნაგებობების, მოწყობილობის დეზაქტივაცია. შესრულებულია გრუნტის აღებისა და ჩამარხვის, სპეციალური ქიმიური ხსნარებით ადგილმდებარეობის დამუშავების დიდი მოცულობის სამუშაოები. ამის შედეგად რადიაციის დონე რაიონებში, სადაც იგი ნორმაზე მეტი იყო, მკვეთრად შემცირდა, და ახლა მხოლოდ ჩერნობილსა და ზოგიერთ მიმდებარე პუნქტში აღემატება დასაშვებ ფარგლებს.

ჯოგია

კახეთის აღმოსავლეთ ზონაში კარგა ხანს გვალვა იყო. მერე ხანგამოშვებით წვიმდა, მაგრამ როცა პურის აყანები უნდა დათავთავიანებულიყო, ისევ გვალვამ არ აცალა თავთავი მარცვლებით დამძიმებულიყო. ეს კი ნიშნავდა, რომ წლევანდელი მოსავლის საკმაო ნაწილი დაიკარგებოდა, ყველაფერი განწირული რომ ეგონათ ბოდბისხეველებს, სწორედ მაშინ გაწვიმდა და, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო აყანებს რა თქმა უნდა, მთლიანად ვერა, მაგრამ აყანები ისე გამოასწორა წვიმამ, რომ პურის დამზადების საგეგმო დავალების შესრულების იმედი გაუჩნდათ.

გამოცდილ ბრიგადირს ცეზარ მილაშვილს ჯეჯილისათვის არაფერი დაუკლია, არც მინერალური სასუქები, არც დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებანი გამორჩენია მხედველობიდან. კარგად მოვლილი და საამო სანახავი ჯეჯილი, ბოლოს და ბოლოს, კარგად დათავთავიანდა და, როგორც ვთქვით, ახლა მთავარია, როგორ მომკიან აყანებს.

სამი დღის წინათ ჩავიდნენ ცეზარ მილაშვილის ბრიგადის 500 ჰექტარიან აყანებში კომბაინერები. ბრიგადა საიჯაროა. შარშან ბრიგადის მექანიზატორებმა დიდძალი პური მიიღეს შრომის საფასურად — თითოეულს 10-15 ტონა ხორბალი ერგო. ცხადია, ამდენი პური ოჯახში არც ერთს არ დასჭირდებოდა, კოლმეურნეობას დაუტოვეს და ფულის აღება ამჯობინეს, ბაზარში დგომას პური სახელმწიფოს მივყიდოთ ის გვირჩევნიაო.

— წლეულს რას აპირებთ, ცეზარ? არც ისე ურიგო მოსავალი მოიწიეს ბრიგადის ბიჭებმა, — ეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაიოზ გელაშვილი.

ბაზარ-ბაზარ ხომ არ ვივლით, ისევ სახელმწიფოს მივყიდით კოლმეურნეობიდან მიღებულ ხორბალს. ამბობენ წელს ცეკავშირიც შეისყიდისო და ანაზღაურებაც მეტი იქნებაო, — ეუბნება ბრიგადირი.

— კი, შეისყიდის. ნაწილს ჩვენი კოლმეურნეობის წისქვილებშიც დავფქვავთ და გამოვაცხობთ კიდეც...

ჰექტარზე რამდენს იღებთ?— ეკითხებით ბრიგადირს.

— ქერის მოსავალი ურიგო არ იყო, ჰექტარზე 30 ცენტნერზე მეტი მივიღეთ. მთავარი ის არის, რომ მინდერად არცერთი თავთავი არ დაკოთოვთ — პური ხომ ჩვენი სიმდიდრეა.

— ხორბალი რამდენი გამოდის? — კვლავ ვკითხეთ ბრიგადირს.

— ზოგი ნაკვეთიდან, მაგალითად, მე რომ ვმკი, 30-34 ცენტნერი გამოდის. საშუალოდ ბრიგადის ორი დღის ნამკალის მიხედვით, თუ ეიმუშავებთ, 30 ცენტნერი გამოდის. ნამკალი კარგია, — ამბობს ბრიგადირი და თან თავისი კომბაინისაკენ წავიდა. ეჩქარება, დროზე ნამკალი აყანიდან მოსავლის მაქსიმუმს რომ [illegible]

როცა კომბაინს ბრიგადირი მართავს

[illegible] — ბრიგადირი თან არ. ბენის [illegible] ეხმარება ბრიგადის ბიჭებს და მკაში ხომ მათთან არის და არის. ახლაც ხედური თითქმის მიწისპირამდე დაუშვა, რომ ნამჯა მთლიანად გამოიყენონ პირუტყვის საკვებად.

ახოვანი, ჯანმაგარი კაცია ცეზარი. არც ახალგაზრდა ეთქმის და არც ხნიერი. ახლა ისეთ ასაკშია, როცა სოფელში კაცს ჭკუა ეკითხება. სწორედ ამ ჭკუიანი ბრიგადირის დიდი წვლილიც არის, რომ ზედიზედ მესამე წელია მემინდვრეთა საიჯარო ბრიგადა წარმატებას წარმატებაზე აღწევს. ასეა ყველა ბრიგადაში. ოჯახიც ხვავითა და ბარაქით აქვთ სავსე და სახელმწიფოსაც დიდძალ მარცვლეულს აბარებენ. შარშან სიღნაღის რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდნენ — ბოდბისხეველებმა სამი ათას ტონამდე პურეული მიჰყიდეს სახელმწიფოს. წლევანდელ გეგმასაც შეასრულებთო, ამბობენ ბრიგადირებიცა და თავმჯდომარეც. ამის იმედს მემინდვრეთა საიჯარო ბრიგადების კარგად მოვლილი პურის აყანები იძლევა. ამასთან დიდძალი სენაჟი დაამზადეს, ნამჯასაც უკლებლივ ზვინავენ, ბალახს თიბავენ. ჩვენც სამყოფი გვექნება და სხვასაც დავეხმარებით.

ჩათავდება მკათათვე და ყველაფერი ნთელი იქნება. გვალვა და სეტყვა რომ არა, გეგმა დიდი გადამეტებით შესრულდებოდა. დაბზალების გეგმა შესრულებთ კი უთუოდ შესრულდება, ასე ამბობს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ ქევხიშვილი და თან დასძენს: გვინდა მარცვალი ჩავაბაროთ კომბინირებული საკვების ანგარიშიც, რადგან პირუტყვს ასეთი საკვები ბევრი სჭირდება. ისე კი სენაჟის დამზადების გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულეთ. შესრულდება თივის, ბზისა და სილოსის დამზადების გეგმებიც. ზამთრისათვის ყოველმხრივ მზად ვიქნებით.

ვ. მინდელი.

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ ვიმბეგლს?

ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი

საკვებმომპოვებლები ხარისხისათვის იბრძვიან

წელს გორელებს შეუძლიათ უხვად მოიმარაგონ პირუტყვის საკვები. ცოლებით მდიდარი მრავალწლოვანი ბალახების ნოყიანა და ესპარცეტის ნთესები შესანიშნავად არის მოვლილი. 3.510 ჰექტარ ნთესებს წელს გაზაფხულზე 476 ჰექტარი მრავალწლოვანი ბალახების ნთესებიც დეამატა. გარდა ამისა, აგროვადებში დაითესა ერთწლოვანი კულტურები — სოია, სასილოსე სიმინდი და ძირხვენები. სულ 10.100 ჰექტარი სხვადასხვა საკვები კულტურები უთესიათ რაიონში. აგროსამრეწველო გაერთიანებამ დროულად დაიჭირა თადარიგი და საკვების უდანაკარგოდ აღებისათვის სათანადო ღონისძიებები განახორციელა — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა საკვებმომპოვებელ მექანიზატორთა ჯგუფები და რგოლები. მოეწყო სასენაჟე და სასილოსე ორმოების პასპორტიზაცია. დიდი ყურადღება დაეთმო საკვებმომპოვებელთა მატერიალური დაინტერესების საქმეს. გაიშალა სოცშეჯიბრი, გამარჯვებულებისათვის დაწესდა სხვადასხვაგვარი პრემიები. ბარის ზონაში მომუშავე მთიბავებს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით ეძლევათ დამზადებული თივის 25 პროცენტი, ხოლო მთიან ზონაში — 40 პროცენტი. შეიქმნა საკვებმომპოვებელთა რაიონული შტაბი, რომელიც საკვების დამზადებას ხელმძღვანელობს.

ავდრის მიუხედავად გორელ საკვებმომპოვებლებს ივლისის დამდეგისათვის დამზადებული ჰქონდათ 13 ათას ტონაზე მეტი სენაჟი, რაც 900 ტონით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. რაოდენობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა დამზადებული საკვების ხარისხს. სპეციალური ლაბორატორიის მეშვეობით მას სისტემატურ კონტროლს უწევენ. პარალელურად მიმდინარეობს ბალახის თიბვა. დამზადებულია 1.500 ტონაზე მეტი თივა და 150 ტონაზე მეტი ბალახის ფხვნილი, რაც საგრძნობლად აღემატება შესაბამის შარშანდელ მაჩვენებლებს. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე მიმაგრებული არიან აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტები, ზონების მიხედვით კი პასუხისმგებელი მუშაკები. ისინი რაოდენობასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ საკვების ხარისხს.

მ. ფუბითიძე.

ბავშვთა ქალაქ მზიურის მომავლისათვის

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი კომპლექსის — მზიურის მშენებლობის შემდგომი დაჩქარებისა და გაფართოების, აგრეთვე მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების საკითხები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებების, მსხვილი სამრეწველო წარმოებადაწესებულებების ხელმძღვანელები.

მზიურის კომპლექსის შემდგომი განაშენიანების საკითხებზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა და საქართველოს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ვ. მარგველიძემ.

თათბირზე განსაკუთრებით შეეხნენ ამოცანებს, რომელთა შესრულება განაპირობებს მზიურის იდეის პრაქტიკულ ხორციშესხმას, აღინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს მშენებლობის შემდგომი ეტაპი და ამაში საქმიანი მონაწილეობა მიიღოს თითოეულმა ორგანიზაციამ.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე და გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

უკრაინელი მსახიობების დიდი ხელოვნება

ქართველი მაყურებელი დიდი ხანია ელოდა ამ შეხვედრას: კიევის ამ ნიჭიერ თეატრალურ კოლექტივთან პირველი ნაცნობობის შემდეგ ხომ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ამ დროის განმავლობაში თეატრმა მაყურებლის დიდი აღიარება მოიპოვა.

შთამბეჭდავი თეატრალური დღესასწაული მოუწყვეს ყიეველმა მსახიობებმა თბილისელ მაყურებელს 18 ივლისსაც, როცა შესთავაზეს მას დიდი ესპანელი დრამატურგის ტირსო დე მოლინას კომედია „ღვთისმოსავი მარტა“.

სპექტაკლის შემდეგ უკრაინელ მსახიობებს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რომელიც წარმოდგენას ესწრებოდა. მან გულითადად მიუღია მსახიობებს შემოქმედებითი გამარჯვება, მადლობა გადაუხადა დიდ ხელოვნებასთან თანაზიარობისათვის, უსურვა ახალი შემოქმედებითი მიღწევები საბჭოთა თეატრალური ხელოვნების სასახელოდ. შეხვედრაზე კერძოდ აღინიშნა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები მოხარულნი არიან, რომ შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ უკრაინელი მეგობრების შესანიშნავ ხელოვნებას, რომელიც ერთგულად ემსახურება დროის კეთილშობილურ იდეალებს — ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა მეგობრობას, ძმობას, ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

(საქინფორმი).

დღეს ნომერშია:

- რუსთაველის მეცნიერული ქარხანა — დიდი პრეზიდენტის დასაბუთები. (მე-2 გვ.).
- მეგობრობის ეარაფანი — კოლეგიალის მეგობრობისა ბარსელონა და ათენი. (მე-2 გვ.).
- ბრძოლიანი. ეიკვლევა ოფიციალური ცნობა. (მე-3 გვ.).
- შემოქმედებითი გზის ბაღდასაფიზე (ვ. ალარავიანის 60 წლისთავის ნაკოდ). (მე-3 გვ.).
- ბაკოსიანიანის. კვლავ რეკონსტრუქციის და ფოტოგრაფიის შესახებ. (მე-3 გვ.).
- საქართველოსა ისტორიის ანალი. (მე-4 გვ.).
- ბორბალი ინფორმაციის. კვლევა ნეგის ასპარეზობანი. (მე-4 გვ.).

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის უპირველესი ამოცანები

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ა. ჭითანავას მონაწილეობა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული რესპუბლიკური საწარმოო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელებთან. საუბარი მიეძღვნა ამ საკითხებს, როგორიცაა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, მეურნეობრიობის ეფექტიანობის გადიდება, უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის დაჩქარება, მოლიანად სისტემაში სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა.

მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილის, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავჯდომარის გ. დ. მგელაძის და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სხვა ხელმძღვანელი მუშაკების ინფორმაციები.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, ისევე როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის მთელ სისტემას, 1986 წლის პირველი ნახევარწლეულის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა მოუხდა ორგანიზაციული გარდაქმნის პირობებში. მფგომარეობა გაართულა ამინდის უჩვეულოდ მკაცრმა პირობებმა წლის დამდეგიდან ივნისის ბოლომდე. ხანგრძლივი სიცივის, სეტყვის, კოკისპირული წვიმების, თოვლის ნამქერების, შემდეგ კი გვალვის შედეგად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ცალკეულ რეგიონებში ზარალმა მილიონობით მანეთი შეადგინა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი ორგანოები როგორც ცენტრში, ისე აგგილებზე, ამ რთულ პირობებში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან, რათა დაძლიონ ჩამორჩენა წარმოების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე, კერძოდ, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში, მარცვლეული კულტურების აღებასა და დამზადებაში, ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულის დამზადებასა და სავაჭრო ქსელისათვის მიწოდებაში და ა. შ.

მაგრამ საკავშირო და რესპუბლიკური დირექტიული ორგანოების სისტემატური დახმარებისა და ყურადღების, აგრეთვე აგროსამრეწველო ინტეგრაციის უდავო უპირატესობისა და კომპლექსის მშრომელთა თავდადებული მუშაობის წყალობით, მოხერხდა დანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირება და 1986 წლის პირველი ნახევარწლეულის საგეგმო მაჩვენებლების ძირითადად წარმატებული შესრულების უზრუნველყოფა როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ისე გადამმუშავებელ მრეწველობაში.

ამასთან ერთად შემდგომშიაც ენერგიულად უნდა წარმოებდეს მუშაობა მთელი რიგი პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, ჩაის წარმოებასა და გადამუშავებაში ჩამორჩენის დასაძლევად, საადრო კარტოფილისა და ბოსტნეულის აღებისა და დამზადების ტემპის დასაჩქარებლად, საკვების დასაგროვებლად და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი საკითხები, როგორიცაა ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულების უზრუნველყოფა, საკონსერვო, ჩაისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მთელ სამეურნეო აქტივს მიზნად ესახება პრიორიტეტული ხასათის საკითხების გადაწყვეტა: ჩაის დამზადება-გადამუშავების გეგმების შესრულებასთან ერთად მისი ხარისხის ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, ატომური ელექტროსადგურების ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ატომური ენერგეტიკის საერთო-საკავშირო სამინისტრო.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაევალათ ამაღლონ ატომური ელექტროსადგურების პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე, აღხარდონ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური და ხელმძღვანელი კადრები დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, დღენიადაგ განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი შრომითს კოლექტივებში, უპირველესი ყურადღება დაუთმონ ამ საწარმოთა უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებს. ამ ამოცანათა გადაწყვეტაზე პარტიული გავლენის გასაძლიერებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაწესდეს ატომური ელექტროსადგურების პარტორგანიზაციებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგების თანამდებობები.

საბჭოთა კავშირი დიდად მადლიერია სოციალისტური სახელმწიფოების, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს საბჭოთა ხალხს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის გამო. იგი მადლიერია ბევრი სხვა ქვეყნის, მათი მოქალაქეებისა მორალური მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარებისათვის.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვადასხვა ქვეყნის გაერთიანებული მეცადინეობა ბირთვული უშიშროების უზრუნველსაყოფად. სსრ კავშირი სხვა ქვეყნებს წინადადებას აძლევს ერთად ეცადონ იმის მიღწევას, რომ ავარიების შესაძლებლობა მსოფლიოს ატომური დანადგარების მუშაობაში ნულამდე იქნეს დაყვანილი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სექტემბრისათვის დასახულ მაგატეს გენერალური კონფერენციის სპეციალურ სესიას. ჩვენი ქვეყანა მზად არის კონსტრუქციულად მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში და აქტუალურ ამოცანად თვლის სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მიერ ახალი თაობის რეაქტორის ერთობლივ შექმნას. ამასთან ერთად უნდა დაჩქარდეს თანამშრომლობა მართვადი თერმობირთვული სინთეზის ათვისებაში, რომელიც ენერგიის უშრეტი წყაროო გახდებოდა.

ბირთვული ენერგეტიკის ობიექტების უშიშროების პრობლემის მეორე მხარე დაკავშირებულია იმასთან, რომ არ დავუშვათ მათი წინასწარგანზრახული დანგრევა სამარი მოქმედების ან ტერორისტული აქტების შედეგად, უნდა შემუშავდეს ყოველგვარი გამოვლინების ბირთვული ტერორიზმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საიმედო სისტემა.

ბირთვული უშიშროება ჩვენს პლანეტაზე წარმოდგენილია ატომური ომის მატერიალური მზადების შეწყვეტის, მისი წარმოების საშუალებათა სრული ლიკვიდაციის გარეშე. საბჭოთა კავშირი აღსავსეა მტიცე გადაწყვეტილებით დასავლეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად მიაღწიოს ნამკალის მიზნით, რომ სასწრაფოდ დაძლიონ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგები, უზრუნველყონ ატომური ელექტროსადგურების ზუსტი და უსაფრთხო მუშაობა, კიდევ უფრო განავითარონ საბჭოთა ატომური ენერგეტიკა სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

18 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს 1986 წლის პირველ ნახევარწლეულში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებების, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე გაშლილი მუშაობის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების ინტენსიური დაჩქარების სტრატეგიის განხორციელებაში შრომითი კოლექტივების, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობის შედეგად განვლილ პერიოდში ეკონომიკურ ზრდა. ეროვნული შემოსავალი 4 პროცენტით გაიზარდა. ინდუსტრიულ პროდუქციის გამოშვებამ 4,1 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ 2,3 პროცენტი, ტვირთბრუნვამ 3,5 პროცენტი, ფასიანი მოსახლეობისადმი მიწოდებულ საქონელბრუნვამ 4,3 პროცენტი, ფასიანი მომსახურეობა 4,1 პროცენტი, ეროვნული ეკონომიკა 2,1 პროცენტი, ეროვნული ეკონომიკა 2,1 პროცენტი, ეროვნული ეკონომიკა 2

პროგრამა გრწყინვალედ შეასრულეს!

ხანგრძლივი ორბიტული ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ ლეონიდ კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ისვენებენ და ფრენისშემდგომ სამედიცინო შემოწმებას გადიან ბაიკონურის კოსმოდრომზე.

თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეკიპაჟი მხოლოდ ისვენებს, რადგანაც, მართალია, ფრენა დამთავრდა, მაგრამ ორბიტაზე დაწყებული მუშაობა ახლა დედამიწაზე გრძელდება.

— კიზიმისა და სოლოვიოვის მდგომარეობას სავსებით დამაკმაყოფილებლად ვიფასებთ, ჩვენი ტერმინოლოგიით თუ ვისარკვევლებთ — თქვა კოსმონავტების მზადების ცენტრის მთავარმა ექიმმა ი. სკიბამ. — ის კი არა, მდგომარეობა კარგია. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ამასთანავე, რომ მათ უწონობაში იმუშავეს ოთხ თვეზე მეტ ხანს — 125 დღე-ღამეს. უწონობაში ორგანიზმი, ბუნებრივია, გადაეჩვევა ხოლმე დედამიწისეულ დატვირთვებს, რომლებსაც მიზიდულობის ძალა წარმოშობს. იგი ხელახლა უნდა შეეგუოს დედამიწას. ამას კი დრო სჭირდება. ეკიპაჟის ადაპტაცია ზუსტად გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ორივე კოსმონავტს კარგად სძინავს და საუცხოო მადა აქვს. სხვათა შორის, კიზიმი არც სადგურში უჩიოდა მადას — მას პრაქტიკულად არ დაჭლეა წონაში. ახლა კი ნახევარი კილოგრამით მეტსაც კი იწონის, ვიდრე ფრენის წინ.

ვლადიმერ სოლოვიოვი 5 კილოგრამით გახდა—ტანმაღალ ხალხს ეს ახასიათებს, მაგრამ ისიც თანდათან იბრუნებს წონას.

ეკიპაჟის მიერ სამუშაო პროგრამის შესრულების შესახებ თხრობა განაგრძო კოსმოდრომის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა ა. ფილიპჩენკომ.

— ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, — თქვა მან, — კოსმონავტებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ფრენის მთელი პროგრამა. იმაზე მეტიც კი გააკეთეს, ვიდრე მათგან მოველოდნენ. განხორციელდა სამი შეპირაპირება, მათ შორის ხელის რეჟიმით. ლ. კიზიმმა და ვ. სოლოვიოვმა ბრწყინვალე საოპერატორო ოსტატობა გამოიჩინეს. ფრენის წინ ისინი სპეციალურად მუშაობდნენ ტრენაჟერებზე, რათა ესწავლათ შეპირაპირების სათბობის მინიმალური დანახარჯით შესრულება. მათ ეს მოახერხეს, და შეძლეს გადაფრენილიყვნენ „სალუტ-7“-დან „მირ“ სადგურზე. ეკიპაჟმა სადგურში სხვადასხვაგვარი სამუშაო შეასრულა, მათ შორის დიდი გაბარიტის კონსტრუქციებითაც ღია კოსმოსში ორი გასვლის დროს. მან აგრეთვე დიდი მოცულობის სამონტაჟო სამუშაოები აწარმოა.

„გინდათ კიდევ გაფრენა? — სასტუმრო „კოსმონავტში“ ეკიპაჟთან გამართულ შეხვედრაზე „შუქურებს“ პირველად ეს კითხეს. სხვათაშორის, შეხვედრაზე ისინი თვითონ, ვინმეს დაუხმარებლად მოვიდნენ.

— რა თქმა უნდა, — ერთხმად უპასუხეს მათ. — მითუმეტეს ისეთ სადგურზე, როგორიცაა „მირ“-ი.

ბაიკონურის კოსმოდრომი.

მ. ხრუსტოვი,
ხაკდესის სპეც. კორ.

სურათზე: არკალიკი. ლ. კიზიმი (მარჯვნივ) და ვ. სოლოვიოვი დედამიწაზე დაჯდომის პირველ წუთებში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის უპირველესი ამოცანები

(დასასრული)

გაუმჯობესება, საერთო-საკავშირო ფონდში აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის საგებგმო მიწოდების უთუო შესრულება, ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ხილობოსტნეულით და კარტოფილით მომარაგების მკვეთრი გაუმჯობესება, მარცვლეულის წარმოების გეგმის შესრულება, ყველა სახეობის საკვების დამზადების გეგმების რეალიზაცია და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაჩვენებელთა გაუმჯობესება.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი ახალ გადიდებულ ამოცანებს უყენებს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოებს. ამ ამოცანების შესაბამისად საჭიროა თანამიმდევრულად ვიღაწოთ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში ყველა მმართველობითი რგოლის მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი უწყებრივი მიდგომის მთლიანი აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის.

ამჟამად გეგმაზომიერი მუშაობა წარმოებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ზორციელდება კვალიფიციური კადრებით მათი გაძლიერების ღონისძიებანი.

საუბრის დროს განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ზუსტი მუშაობა უწინარეს ყოვლისა სახაგრომრეწვის **ცენტრალური აპარატის** სტრუქტურული ქვეგანყოფილებების, **კომიტეტისადმი** დაქვემდებარებული გაერთიანებების, **საწარმოების,** ორგანიზაციების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გრძნობის ყოველმხრივი გაძლიერების საფუძველზე.

სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით ყველგან უნდა აღმოიფხვრას ისეთი ფაქტებისადმი შემწყნარებლობის სულისკვეთება, როგორიცაა უყაირათობა, საზოგადოებრივი დოვლათის განიავება და დატაცება, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის დამზადებისა და წარმოების გეგმების ჩაშლა. სამეურნეო ორგანიზაციებმოწოდებული არიან გააძლიერონ კონტროლი საერთო-საკავშირო ფონდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისადმი და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მიწოდების ვადების უმკაცრეს დაცვასა და გასაგზავნი პროდუქციის ხარისხს.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახაგრომრეწვებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვამ, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მუშაის მეცადინეობა უნდა მოახმარონ სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში მუშაობის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფას.

უნდა განხორციელდეს ყველაზე მტკიცე ღონისძიებები, რათა უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ საუკეთესო ხარისხის ხილბოსტნეულისა და კარტოფილის რიტმულ მიწოდებას უწინარეს ყოვლისა ქალაქ თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების საჭირო ქსელისათვის, წარმატებით დაეძლიოთ ჩამორჩენა აგროსამრეწველო კომპლექსის ზოგიერთ დარგში, შეეასრულოთ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ყველა გეგმა და, რაც ყველაზე მთავარია, არსებითად გავუმჯობესოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა უპირველესი სასურსათო პროდუქტებით.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ქ. თბილისის, საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების, კურორტების მშრომელები გაგებით ეკიდებიან ორგანიზაციული გარდაქმნის პრობლემებსა და სირთულეებს, მიმდინარე წლის ამინდის ურთულესი პირობებით გამოწვეულ სიძნელეებს, და ამასთანავე სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ხილ-ბოსტნეულის მიწოდებაში არსებული შეფერხებისა და, განსაკუთრებით, მისი ხარისხის გამო.

საუბრის დროს გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და [illegible] დაძვემდებარებული სამსახურების ხელმძღვანელობა, ყველა მუშაკი შეთანხმებულ, ზუსტი, რიტმული მუშაობის მეშვეობით დიდ წარმატებებს მოიპოვებენ აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი დაჩქარებული განვითარების თაობაზე პარტიის პრინციპულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

(საკინფორმი).

20 ივლისი მეტალურგის დღეა

ლიპეცკის ინდუსტრიის პურს უწოდებენ. მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ დარგში ხელს შეუწყობს მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ ცვლილებები არის მრეწველობის ასეთ დარგში, როგორიცაა შავი მეტალურგია, რომელიც წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა. ამასთანავე ასევე ითქვა, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის ახალი რეკონსტრუქცია, მისი ეფექტიანობის შემდგომი ზრდის პირობების შექმნა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა პლენუმის ეს მითითებანი სავალდებულოდ აღიქვა და შეჯიბრება გაიჩაღა მათი უცილობელი განხორციელებისათვის.

გუშინ

რუსთაველ მეტალურგებს არაერთხელ გამოუჩენიათ დიდად მნიშვნელოვანი და საინტერესო ინიციატივები, აღაერთხელ მოუპოვებიათ პირველი და საპრიზო ადგილები საკავშირო დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში; ამ ქარხანაში მუშაობენ სოციალისტური შრომის მგირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, ორდენოსნები და მედალოსნები.

მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგს უღიმღამო სურათი წარმოგვიდგა. ქარხანამ სახელმწიფოს ათიათასობით ტონა პროდუქცია დააკლო.

სანამ ქარხნის ხელმძღვანელობასთან გავარკვევდით ჩამორჩენის მიზეზს, ჯერ იმათ მივმართეთ, ვინც ქართული მეტალურგიის განვითარების სათავეებთან იდგა.

შალვა კუხალეიშვილი: 1950 წლის 27 აპრილს სწორედ მან გამოუშვა პირველი ქართული ფოლადი. პროფესიას რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში ეუფლებოდა. მთელი მისი ცხოვრება ხელისგულზეა: მეფოლადის შეგირდობით დაიწყო, მუშაობასთან ერთად სწავლობდა, დაამთავრა ინსტიტუტი, დაწერა წიგნი ფოლადის გამოდნობის ჩქაროსნულ მეთოდებზე, შევიდა პარტიაში, იყო პარტორგანიზაციის მდივანი, მარტენის საამქროს უფროსი, ამჟამად ურნალის საამქროს მეთაურობს.

— მთელი ჩვენი ოჯახი ქარხანაში მუშაობს, — გვეუბნება შ. კუხალეიშვილი. — ქარხანაში მოვიყვანე მთელი ჩემი ნათესაობა, ბიძაშვილები, დები, ძმისწულ-დისწულები, სხვა ნათესავები და ნაცნობები. და ეს მარტო მე კი არ მიქნია. მეტალურგების სპანდერაშვილების, ლომძღვების, ფანჩვიძეების, ექსიმოვებისა და სხვათა დინასტიებით ამაყობს ქარხანა. მეტალურგიულ ქარხანაში იცით ადამიანის აღზრდა, ენდობიან ახალგაზრდობას. ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი პავლე ფერეთელი, პარტკომის მდივანი რევაზ თხელიძე და ქვეგანაყოფების ბევრი ხელმძღვანელი, როგორც ქარხანაში ვიტყვით ხოლმე, საამქროებში გაიზარდნენ.

წარმოების ბევრი მოწინავე და წამყვანი სპეციალისტი ამასწინანდელი კომკავშირელები არიან, მაგრამ ახალგაზრდა ასაკი დაბრკოლება როდია. სწორედ ისინი განაგრძობენ წარმატებით იმათ საქმეს, ვინც საქართველოში პირველმა აითვისა თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა თუ მილების წარმოება...

— მაშ რატომ იყო, რომ ქარხანა ზედიზედ რამდენიმე წელს ჩამორჩებოდა? — ვეკითხებით შ. კუხალეიშვილს.

— ეს რთული საკითხია. თუმცა, იმდენად არა რთული, რამდენადაც — სამწუხარო, — გვიპასუხა მან. — ღუმელთან, დგანთან მუშაობა ძნელია, კანონმა ტყუილად კი არ დაადგინა, რომ მეტალურგი 50 წლისა გადის პენსიაზე. და აი, 1976 წლიდან ბევრმა გამოცდილმა მეტალურგმა, რომლებმაც კარგი სკოლა გაიარეს დონეცკში, მაგნიტოგორსკში, ზაპოროჟიეში, ტაგანროგში, ჟდანოვსა თუ ვოლგოგრადში, პენსიაზე გასვლა დაიწყო. პენსიაზე გავიდნენ ჩვენი მასწავლებლებიც, რომელთაგან ბევრი რუსეთში რუსეთიდან თუ უკრაინიდან ჩამოვიდა და სამუდამოდ დაუკავშირა მას თავისი ცხოვრება. მათი შემცვლელი კადრები კი არ აღმოგვაჩნდა. რუსთავში დიდხანს ქარხნისათვის კადრებს ერთადერთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამზადებდა და, რა დასამალია, ძლივს, წარმოებას მოწყვეტით ასწავლიდა რაღაცას. სასწავლებელდამთავრებულნი, ორსამი წლის სავალდებულო მუშაობის შემდეგ, ქარხნიდან მიდიოდნენ და უფრო იოლ სამუშაოს ეძებდნენ. ან მათ სხვა ქარხნები „გადაიბირებდნენ“ ხოლმე, სადაც შრომის პირობები უკეთესი იყო, ხელფასი კი მეტი.

საამქროები ჩამოვიარეთ. ახალგაზრდების გვერდით მუშაობენ მექურე, სოციალისტური შრომის გმირი არჩილ ძამაშვილი, მეფოლადეები, სოციალისტური შრომის გმირები ოთარ ლომძე, ვაჟა გიგიბერია, ტარიმან ბარბაქაძე, მილმგლინავები ემელიანე კურტანიძე, კოტე შაორშაძე და სხვები.

ისინი დიდი ხანია გაუაღარავდნენ, დიდი ხანია პენსიაზე გასვლის დრო დაუდგათ, მაგრამ თავიანთ ცეცხლოვან ვახტს ვერ შელევიან.

ლაპარაკობს არჩილ ძამაშვილი: — ყველანი რომ წავიდეთ, რაღა გამოვა, ბრძმედები ჩაქრება. მეტალურგიაში ოცდაათ წელზე მეტია ვმუშაობ. ჭაბუკმა დაივიწყა, სკოლის დამთავრებისთანავე. ვმუშაობდი როგორც სხვები, როგორც ათობით სხვა ჩემი კოლეგა, რომლებმაც ერთხელ და სამუდამოდ აირჩიეს მშვენიერი, როგორც იტყვიან, რომანტიკული პროფესია.

— არჩილ, მთელი ამ წლების განმავლობაში ნუთუ არ ყოფილა შემთხვევა, რაიმე უფრო იოლი სამუშაო მოგდომებოდათ?

მან სწრაფად შეგვავლო თვალი, და მეტი დამაჯერებლობის მიზნით თითქმის დამარცვლა სიტყვა:

— არასოდეს!..

და აზრადაც აღარ მოგვსვლია ამგვარი შეკითხვის მიცემა. ჩვენ მივხვდით, რომ ამ კაცს მთელი სიცოცხლის მანძილზე გულით უტარებია თავისი საქმის დიდი სიყვარული.

არჩილ ძამაშვილს მხარი დაუჭირა **ვლადიმერ კერვალიძემ,** სწორედ იმ კერვალიძემ, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში მფრინავი იყო, ომის შემდეგ მეტალურგის პროფესიისას სწავლობდა თავისი სახლიისაგან, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ კურილოვისაგან, პირველ ფოლადის მილებს უშვებდა რუსთავში, ახლა კი დამრიგებელთა საბჭოს მეთაურობს.

— მთავარი ის არის, რომ მეტალურგის პროფესია ისევ პრესტიჟული გახდეს, — გვითხრა მან. — აიღეთ, თუნდაც, მილსაგლინავი საამქრო. უნიკალური აგრეგატები თითქმის ფიზიკური ძალის გამოუყენებლად მუშაობენ. მაგრამ ჯერჯერობით ხომ ყველგან ასე არ არის. ქარხანაში მიღებულია მეცნიერების მიღწევების დანერგვის, საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, ხელის შრომის მექანიზაციის კომპლექსური პროგრამა, მაგრამ მისი განხორციელება ყოვნდება.

— იმ ახალგაზრდობაზე რას გვეტყვით, რომელიც თქვენ შეცვლელად მოდის?

— ენერგიული, საქმის მცოდნე ახალგაზრდობაა, სწრაფად ითვისებს ყოველივე ახალს. მაგრამ დახმარება სჭირდება: მხარში უნდა ამოვუდგეთ, საქმის სიყვარული ჩავუნერგოთ, და ბევრი რამის გაკეთებას შეძლებს.

პარტიულ კომიტეტში დაგვხვდნენ საამქროთა უფროსები და პარტკომის წევრები. კადრების პრობლემა ყველას აწუხებს.

— დიახ, თაობათა ცვლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქარხნის მუშაობაზე — გვითხრა პარტკომის მდივანმა. რევაზ თხელიძემ. — პენსიაზე ხომ 1500-ზე მეტი კაცი გავიდა, ყოველწლიურად საშუალოდ 300-400 კაცი მიდიოდა.

დღეს

ქარხნის კოლექტივმა დაძლია ჩამორჩენა. საწარმოსადმი სიყვარულმა, ენთუზიაზმმა და წარმატების რწმენამ თავისი გაიტანა. ქარხნის ახალი დირექტორი, ალექსანდრე გურამ ქაშაკაშვილი თვითონვე დარწმუნდა, რომ ქარხანას შეუძლია და კიდევაც უნდა იმუშაოს უკეთ, და შეძლო ეს რწმენა სხვებისთვისაც ჩაენერგა. და საწარმო კვლავ მოწინავე პოზიციებზე გავიდა.

გაუჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, შეკეთდა ძირითადი მოწყობილობა და გაძლიერდა კადრებისადმი მოკითხველობა. ამის შედეგად ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ნახევარწლიანი გეგმა შესრულდა. ქვეყანამ გეგმის გადამეტებით ათიათასობით ტონა პროდუქცია მიიღო. ქარხანამ დარგის მონთაჟავე საწარმოთა შორის შეჯიბრებაში ზედიზედ ოთხ კვარტალში მოიპოვა პირველი ადგილი. ასობით მუშამ გადაწყვიტა ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

ძვრები არის, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. თუ გავითვალისწინებთ სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს, შავ მეტალურგიაში, ასე ვთქვათ, პრიორიტეტები უნდა შეიცვალოს. ახლა საქმე შეეხება არა მარტო და არა იმდენად იმას, რომ ქვეყანას ბევრი ლითონი სჭირდება, არამედ იმას, რომ სჭირდება კარგი და სხვადასხვაგვარი ლითონი. ქარხნის სორტამენტით საბჭოთა მეტალურგია პრაქტიკულად ტოლს არ უდებს სხვა, მრეწველობის თვალსაზრისით დიდად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიას. მაგრამ დარგი ჯერჯერობით სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას გაუჯობესებული თვისებრივი მახასიათებლის მქონე ლითონპროდუქციაზე და ცალკეულ დიდეკონომიურ პროფილებზე.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ავტომატიზაციაზე, რომელიც ქარხანაში ინერგება. მაგალითისათვის ავიღოთ ავტომატიკის გამოყენება მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი შრომატევადი პროცესის — გლინვის დროს, რაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინტენსიფიკაციის ერთ პროგრამით არის გათვალისწინებული, რომელიც ამავე ქარხანაში შეიმუშავეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ლუმინგზე დანერგილ. ავტომატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლობის გადიდებისათვის. მზა ნაგლინი ხომ მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტია. მის თვითღირებულებაშია თავმოყრილი როგორც ავტომატიზებულია სახურებელი ღუმელის მუშაობა, მილების დაჭრა, მთავარი ამძრავების და სხვა მექანიზმების მართვა. უკეთესდება სორტიული ლითონის ხარისხი, რაც დაჩქარებული გაცივების ტექნოლოგიის გამოყენების ნაყოფია. ამის შედეგად სორტსაგლინავ საამქროში შეიქმნება საარმატურო ფოლადის მექანიკური თვისებების და მზა ნაგლინის გამოსავლიანობის გაუმჯობესების პირობები.

სურათებზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადის შეგირდი, კომკავშირელი მერაბ გოგოლაძე ერთ-ერთი საუკეთესოა პროფესიაში;

მარტენის საამქროში;

1958 წლიდან მუშაობს კომუნისტი პეტრე პაჭკინი მარტენის საამქროში მეფოლადედ და თავდადებული შრომით, საქმისადმი გაძლიერებული პასუხისმგებლობით ყველას პატივისცემა დაიმსახურა.

ს. სააკოვის ფოტო.

დიდი გარდატეხის დასაწყისი

სუსხიანი სტრიქონები

„წითელი შაბათობის“ ანგარიში

ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც ორგანულად შეერწყა საქართველოს დედაქალაქის ვარკეთილი-3 საცხოვრებელი მასივის არქიტექტურულ სახეს, სამწუხაროდ, ჯერ არ აუვსია პატარების მხიარულ ჟრიამულს. ამ საბავშვო ბაღის ახალმოსახლე სამასი ბავშვი დასასვენებლად არის წასული. ჩაბარეს რა ახალმშენებლობა ზუსტად ზაფხულის წინ, მშენებლებმა მთელი წლით დააგვიანეს დასახული ვადები.

ფაქტი თავისთავად არაჩვეულებრივია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა კომუნისტურ შაბათობებზე გამომუშავებული სახსრების გამოყენებით. რატომ მოხდა ეს?

ამ კითხვაზე პასუხისათვის საქინფორმის „კორესპონდენტმა მიმართა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტს.

— გულახდილად რომ გითხრათ, თავდაპირველად არ ვიცოდით, რა წყაროებით ფინანსდებოდა მშენებლობა, — თქვა ტრესტის მმართველმა კ. მხეიძემ. — სამინისტროს, რომელმაც გეგმა მოგვცა, თავფურცელზე საბავშვო ბაღი ცალკე სტრიქონად არ გამოუყვია, როგორც ეს არის მიღებული შაბათობის სახსრებით ობიექტების მშენებლობის დროს. ეს ხომ მათ უპირველესი მნიშვნელობის ობიექტების სტატუსს ანიჭებს.

— ვთქვათ, ასე იყო, რა შეიცვალა, როცა შეიტყვეთ?

კითხვა უპასუხოდ დარჩა...

— სამწუხაროდ, ეს ერთეული ფაქტი როდია, — განმარტავს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია. — შარშან რესპუბლიკაში მხოლოდ 85 პროცენტით შესრულდა ამგვარ ობიექტებში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა. ჩაიფუშა, კერძოდ, დიდომში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საექსპლოატაციოდ გადაცემა, აუთვისებელი დარჩა სახსრები, რომლებიც გამოყოფილი იყო გლდანის საცხოვრებელ მასივში საბავშვო ბაღისა და მუხიანში პოლიკლინიკის მშენებლობისათვის. აუთვისებელი დარჩა ჯგრეთვე წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში საბავშვო ბაგა-ბაღის, ქუთაისში სამშობიარო სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ასიგნებანი. და სრულიად სამართლიანად ჩვენი რესპუბლიკა, სხვებთან ერთად, გააკრიტიკეს პარტიის XXVII ყრილობაზე შაბათობებზე გამომუშავებული სახსრების აუთვისებლობისათვის.

ასეთი უყაირათობით იფუშება არა მარტო სამშენებლო პროგრამა, არამედ უფასურდება კიდეც ასიათასობით ადამიანის შეგნებული, უსასყიდლო შრომა. იგი ხომ მიზნად ისახავს სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო სფეროს განვითარებას. პარტია, როგორც ეს კიდევ ერთხელ აღინიშნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა, მიმდინარე ხუთწლედში სახავს ამოცანას, ეს სფერო ავიყვანოთ თვისებრივად ახალ დონეზე.

უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „წითელი შაბათობის“ ობიექტების მშენებლობისადმი დაუსჯელი არ დარჩენილა. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 25 ტრესტის მმართველი თ. ცაგურია გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამგვარი ფაქტების განმეორებისას ასეთივე სასჯელი ელის № 4 და № 13 ტრესტების მმართველებს დ. დგებუაძესა და კ. მხეიძეს, რომლებსაც ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ. ხორციელდება ჩამორჩენის დაძლევის, საჭირო ნაწარმით, მექანიზმებით, შრომითი რესურსებით მშენებარე ობიექტების უზრუნველყოფის, შაბათობის სახსრების არასრულად და არადროულად ათვისების დაუშვებლობის კონკრეტული ღონისძიებანი.

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ არა მარტო სამშენებლო ორგანიზაციების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, არამედ პროფკავშირული კომიტეტების პასიურობაც აფერხებს სულ ბჭირად „წითელი შაბათობის“ სახსრები იქსაქსებოდა ბევრ ობიექტზე, შემდეგ კი იძულებით „გადადიოდა“ ერთი დაუმთავრებელი ობიექტიდან მეორეზე. სწორედ ამ პრაქტიკას გადაეღობეს გზა პროფკავშირებმა. თუ წინათ ვეწეოდით მხოლოდ შაბათობის ორგანიზაციასა და მოწყობას, ახლა მკაცრად ვაკონტროლებთ იმასაც, როგორ ანაწილებენ და აითვისებენ ამ დღეს გამომუშავებულ თითოეულ მანეთს.

პროფკავშირთა პრინციპულ პოზიციას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის ბევრ შრომითს კოლექტივში. მაგალითად, თბილისელმა ელმავალმშენებლებმა შეფობა იკისრეს თემქის დასახლებაში საავადმყოფო-პოლიკლინიკის მშენებლობისადმი და გადაწყვეტილი აქვთ აქ რამდენიმე დღეს იშრომონ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

დადებითი ცვლილებანი დაისახა მშენებელთა მუშაობაშიც.

ზ. გრძელიშვილი.

ხელოვნებისა და მეფოგრაფიის ბარბარუტები

კონკურსების მისამართებია ბარსელონა და ეჭვი

თბილისში დამთავრდა [illegible] ამ შემოდგომაზე ბარსელონაში. ოთხი დღის განმავლობაში ქვეყნის ყველა კუთხის 32 ახალგაზრდა მუსიკოსი ერომანეთის ეჯიბრებოდა ამ შემოქმედებითის დათვალიერებაში მონაწილეობის უფლებისათვის.

— თბილისის მოსმენამ ბევრი სასიხარულო წუთი განგვაცდევინა,— თქვა ჟიურის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირინე არხიპოვამ. — გავეცანით სხვადასხვა ეროვნული ოჯახური სკოლის წარმომადგენლებს. მონაწილეთა შემადგენლობა უაღრესად ძლიერი და თანაბარი იყო. და ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება: ოთხის ნაცვლად ბარსელონის კონკურსზე გაგზავნოს ხუთი მომღერალი. დანარჩენი ხუთი კონკურსანტი გაგემზავრება ათენში, სადაც წლის დამლევს გაიმართება მარია კალასის ზახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი.

ბარსელონაში გამოვლენ ზურაბ სოტკილავას აღზრდილი — სსრ კავშირის დიდი თეატრის სტაჟიორი ა. ფედინი, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სტაჟიორი დ. ხარიტონოვი, მინსკელი მომღერალი მ. რისოი (ყველანი საოპერო სიმღერა), აგრეთვე ს. ტრიმიკიტე (ვილნიუსი) და ე. რუბინა (ლენინგრადი — ორივე კამერული სიმღერა).

ათენის კონკურსზე საბჭოთა ვოკალური სკოლის ღირსებას დაიცავენ მ. ხოხლობორსკაია (სვერდლოვსკი) და სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი მ. ბუტოვა (ორივე საოპერო სიმღერაში), მოსკოველი მომღერალი მ. ლანსკოი (კამერული სიმღერა).

ჩვენი „რესპუბლიკიდან ეს საპატიო უფლება მოიპოვეს თბილისის ფილიალშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა მაია თომაძემ (საოპერო სიმღერა) და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სოლისტმა, ამ საუნსიკო უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგმა თენგიზ ჩაჩავამ (კამერული სიმღერა).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲐ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲐ

პრემიერა ბერძნულ თეატრში

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე სრული აწოლაგით გაიმართა ფ. კანონიდის დრამის — „ტრიხის ხიდის“ პრემიერა, რომელიც უჩვენა ბერძნულმა სახალხო თეატრმა.

თეატრალურმა დღესასწაულმა გვაუწყა ბერძნული სახალხო თეატრის აღორძინება. ეს საპატიო წოდება შემოქმედებით კოლექტივს ჯერ კიდევ 1964 წელს მიენიჭა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლებიც ძირითადად თაობათა ცვლასთან იყო დაკავშირებული, თეატრს მოუწია დროებით შეეწყვიტა საქმიანობა.

— ცნობილი საბჭოთა დრამატურგის ფ. კანონიდის პიესაში „ტრიხის ხიდი“ ფართოდ არის გამოყენებული ფოლკლორული მოტივები, — თქვა დამდგმელმა რეჟისორმა დ. ბუმბერდიმ. — ეს ხალხური დრამა თეატრალური კოლექტივების ოცდაათიანი წლების რეპერტუარში გამორჩდა, მაგრამ იგი დღესაც წარმატებით სარგებლობს.

ჩვენი კოლექტივის შემადგენლობაში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები არიან — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, დისახლისები, მუშები, ინჟინრები, ექიმები, მუსიკოსები, რომლებსაც აერთიანებს თავიანთი ხალხის ძველი ხელოვნების სიყვარული.

თეატრს ხელმძღვანელობს სოხუმელი პოეტი ნიკოლოზ პატულიდი.

ახლა ბერძნული სახალხო თეატრი აფხაზეთის სოფლებში, საზაფხულო გასტროლებისათვის ემზადება.

ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ: ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ

თბილისი მეტრომშენებლებმა მიწისქვეშა მაგისტრალების გაყვანის არატრადიციული ხერხით დაიწყეს მუშაობა — ერთი, და არა როგორც ჩვეულებრივ ორი წერტილიდან, მაგრამ სხვადასხვა მხარეს. დაიწყებენ ისინი გადასარბენი გვირაბების გაყვანას „ვაჟა-ფშაველას“ მომავალ სადგურებს შორის. ამისათვის ამ სადგურებს შორის ათობით მეტრის სიღრმეზე გათხრილია ჭაური. მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი გამოიყენება მიწისქვეშა ნაგებობების სავენტილაციოდ. უკვე არსებული „დელისის“ სადგურიდან „ბახტრიონამდე“ (ვაჟა-ფშაველას ძეგლთან) ტასის მონაკვეთს ღია წესით გაიყვანენ. მეტრომშენებლები, რომლებმაც „დელის-ბახტრიონ-ვაჟა-ფშაველას“ ახალი ხაზის გადასარბენი გვირაბების გაყვანის ეკონომიური გზა აირჩიეს, მას საექსპლოატაციოდ მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის გადასცემენ.

დელფინი დაუმგზავრდა „მედეას“

ზღვის სიურპრიზები

**ამიერკ

ხალხი

უხვად ირიგებს არაკებს,
თავს არასოდეს იქებს;
თითქოს არაფერს არ აგებს,
თითქოს არაფერს იგებს;
გრძენია, მერე როგორი,
ენით უთქმელსაც გეტყვის, —
ათასი ზღაპრის მომყოლი,
ამცხადებელი მეტის...
ხან ჩანჩქერივით ეშვება,
ხან დუმილისთვის იცლის, —
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის!

ნაბიჯიც არ უნანია,
გუნდრუკებს არვის უამევს,
ზღაპრული ამირანია,
ამშვებულია უკვე;
უმისოდ ბიჯს ვერ გადადგამ,
შისთვის ხატე და წერე,
თვალი თუ ცუდად დაგადგა,
კარგად მეყოლე მერე...
ხარბს არაფერი შერჩება
მის ფეხქვეშ მიწა იწვის, —
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის!

არის ხარივით გამტანი,
ქედიც ამშვენებს ხარის,
არის ყოველთვის მართალი,
სიბრძნის საბადო არის;
იცის გარჩევა ტყუილის,
იცის გარჩევა მართლის,
ქვეყნად სიმართლე თუ ივლის,
მისი სახელით დადის...

არც ვის დაეწყვებს ფიცილს,
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის.

რასაც დაეძებს, პოვებს და
მწვერვალებისკენ იწევს,
გიშერებს სვეტიცხოველს და
„ვეფხისტყაოსანს“ გიწერს,
უელის კრწანისს და მარაბდას,
ღამეს ლოცვებით გიოვებს,
„ვეფხის და მოყმის“ ბალადას
სალოცავ სანალად გინოებს...
ამალს გუთანივით ეჩვევა,
არის ერთგული მიწის, —
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის!

შედამ საქებარს აქებდა,
ტული უცემდა ძველი,
ან გაჩენილა ამ ქვეყნად
მასზე მძლავრი და ბრძენი.
თვალს ცრემლი დროზე შეშრება,
ოფლიც შეშრება სიმწრის, —
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის!

შუდამ თვალებში უყურე,
დაიწმინდება ნისლი,
სიმღერა დაიგუგუნე
მისი ზიმაღლის ღირსი;
მარტით, აპრილით, მაისით —
დაიბინავე გულთან,
სულ ხელისგულზე დაისვი,
სული უბერე შედამ...
ხან ჩანჩქერივით ეშვება,
ხან დუმილისთვის იცლის, —
ხალხს არაფერი ეშლება,
მან ყველაფერი იცის!

ავთანდილ გურგენიძე.

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲘ ათასამდე მცირე პლანეტა ბრუნავს მზის გარშემო — მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის, ეს ასტეროიდები მზის სისტემის მთელ სარტყელს ქმნიან.

ვარსკვლავიან ცას დღედაღამ აკვირდებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტისა და ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანაშრომლები. აღმოჩენილ მცირე პლანეტებს უწოდებენ სახელებს, რომლებსაც კომბინიკის (ამერიკის შეერთებული შტატები) საერთაშორისო საპლანეტო ცენტრში არეგისტრირებენ და ბევრი მათგანი საქართველოსთან, მის ისტორიასთან თუ კულტურასთანაა დაკავშირებული.

ერთ-ერთმა პირველმა გამოჩენილმა საბჭოთა ასტრონომმა გრიგოლ ნიკოლოზის ძე ნეუფიმინმა სამოცდაათი ახალი ასტეროიდი აღმოაჩინა. იგი დაიბადა თბილისში. და შემთხვევითი როდია, რომ მცირე პლანეტებს მან **ქართველი, თბილისი** და **კოლხიდა** უწოდა; **რუსთაველი** — ასე დაარქვა მან ერთ-ერთ პლანეტას დიდი პოეტის პატივსაცემად; ერთ-ერთ ვარსკვლავს კი — **ჟუთაირი, ახასთუმანი** — ასე უწოდა თავის ასტეროიდს ასტრონომმა პ. თ. შაინმა. ეს უკვე ჩვენი ბასსთუმნის პატივსაცემად.

ᲘᲠᲘᲜᲘᲜᲘ — ასეთი სახელწოდება შესთავაზა საერთაშორისო საპლანეტო ცენტრს 1977 წელს ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ცნობილმა ასტრონომმა ნიკოლოზ ჩერნიხმა, ხოლო ყირიმელმა ასტრონომმა თამარ სმირნოვამ, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის აღსანიშნავად, მის მიერ აღმოჩენილ მცირე პლანეტებს **გენინესკი** და **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ** უწოდა.

ᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲘᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მეთოთხმეტედ გადის ველზე ციხეგოჯ-ნოქალაქევ-არქეოპოლისის ექსპედიცია. სისტემატურმა გათხრებმა ბევრი ახალი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის გაგების სფეროში. საერთოდ ცნობილია საქართველოს წარსული ამსახვე ელ ისტორიული წყაროების სიმცირე. განსაკუთრებით ეს ითქმის ადრეულ ხანაზე. იკახე ჯავახიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მიწის საფარქვეშ ჩამარხული მასალების გამომზურებაზე. მათი ამეტყველება საერთო სურათის მისაღებად აუცილებლად იყო მიჩნეული. მართლაც, 20-იანი წლებიდან მოკიდებული მრავალი არქეოლოგიური ძეგლი გაიხსნა, რამაც მეტად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა არაერთ ისტორიულ მოვლენაზე. ამ რიგისა გახლავთ ნოქალაქევის გათხრებიც. გათხრების დაწყებამდე სამოლოოდ ისიც კი არ იყო გარკვეული, თუ ნოქალაქევი რომელ ძეგლს წარმოადგენდა. ზოგი მკვლევარი მასთან აკავშირებდა ქართულ წყაროებში ნახსენებ ციხეგოჯს და ბიზანტიურ წყაროებში მითითებულ არქეოპოლისს, ზოგიც ციხეგოჯს ჭაქვინჯის ციხეს უკავშირებდა. ამათთან ერთად იყო სრულიად განსხვავებული მოსაზრებებიც, მაგრამ ყველაფერი ამის მიმოხილვა შორს წაგვიყვანს.

ექსპედიციის მუშაობის პირველი წლების შედეგებით სრულიად აშკარა შეიქნა, რომ ციხეგოჯი და არქეოპოლისი ერთი ობიექტია, იგი დღევანდელი ნოქალაქევია. ასეთი სამოლოო დასკვნა უკვე ნოქალაქევის მკვლევართა ჯგუფის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მატიანეთა ფურცლებზე კიდევ იყო ერთი დასახელება, რომელიც თითქოს ნოქალაქევს აღნიშნავდა, — ესაა მემატიანე ჯუანშერის „სამზღუდე“. უპირველეს ყოვლისა გასარკვევი იყო, თუ რას აღნიშნავდა სიტყვა „სამზღუდე“, და თუ იგი ნოქალაქევი იყო, რატომ დაერქვა ასე. ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ გათხრების შედეგად. გათხრებმა გამოავლინა, რომ ქალაქის დაცვის საკითხი მაშინდელმა ფორტიფიკატორებმა ბრწყინვალედ გადაწყვიტეს. რელიეფის სირთულის გამო შშენებლებმა ქალაქი სხვადასხვა სისქისა და რაოდენობის კედლებით შემოზღუდეს. საშიშროების გათვალისწინებით ძნელად მისადგომ ადგილებში გალავნის ერთი ხაზი იყო გავლებული, შედარებით საშიშ მხარეზე — ორი, ხოლო ყველაზე საშიშ ადგილზე — სამი ხაზი. სწორედ ქალაქში მთავარი შესასვლელის მხარეს სამი ხაზია, სამი ზღუდეა, რაც ჩვეულებრივ სხვა ქალაქებში არ გვხვდება. როგორც ეტყობა, ამიტომ დაერქვა ქალაქს „სამზღუდე“.

ნაქალაქარი დღეს საოცარი სანახავია, რადგან აქ ციხის გრანდიოზული კედლებია შემორჩენილი. საქართველოს სხვა ნაქალაქარებიდან ციხეგოჯი სწორედ



ბების პირველ ეტაპზეკე შექმნეს ქვეყნის დაცვის მეტად ორიგინალური სისტემა. მთ ციხეები და ციხე-ქალაქები განლაგებული ჭრონდათ მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევისას კოლხეთის დაბლობს თუ დაჰკარგავდნენ, მაშინ ქვეყნის დაცვა დაეკისრებოდა მთისა და ბარის გასაყარზე განლაგებულ ციხეთა ჯაჭვს. ათობით სიმაგრისგან. შემდგარი ეს ჯაჭვი ცხენისწყლიდან იწყებოდა და კელასურ-სოხუმამდე უწვდა. დაბლობზე დამარცხებულნი მთებს მიაშურებდნენ. ხოლო ხეობების დასაწყისში მდგარი ციხეები მდეკართა წინ ფარად აღიმართებოდა. ეს მახვილგონიერი დაცვის სისტემა დღესაც განცვიფრებას იწვევს.

არანაკლები სიმაგრე უნდა ყოფილიყო ნაქალაქარის ადგილზე შვიდასი წლის წინათ აგებული ციხე. ლეონტი მროველის ცნობით, იბერიის მეფე ფარნავაზი ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს გადავიდა კოლხეთში, რომელიღაც დიდებულთაგან ქუჯის თავისი და მისცა ცოლად და იგი დაამტკიცა ერისთავად... ამ ქუჯიმ კი „აღაშენა ციხეგოჯი“.

ეს ციხე დროთა ვითარებაში დანგრეულა, მაგრამ მისი ნაშთები ნაქალაქარზე ბევრგანაა მიკვლეული. თუ დიდი ზომის თლილი ქვების ფრაგმენტებით ვიმსჯელებთ, ციხე მაგარი, კაპიტალური ნაგებობა ყოფილა, ისე, როგორც ეს შეეფერებოდა კოლხეთის სამეფოს.

ქუჯის დროს და მომდევნო ხანებში აქ რომ ხალხმრავლობა იყო, ამაზე სხვა თუ არაფერი, იმ ეპოქის სამარხების სიმრავლეც მეტყველებს, მიუხედავად ელინისტური ხანის სამაროვნის მრავალგზის გადათხრისა, აქ კიდევ დარჩა ასამდე სამარხი.

ახლა ისმება კითხვა — თუ რა როლი ეკისრებოდა კოლხეთის სამეფოში ციხეგოჯს. იქვე ლეონტი მროველთან ვკითხულობთ: „მისცა ქუჯის (ფარნავაზმა) ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს



მიკვლეულია ონოგურისის ციხე

გათხრები ნოქალაქევში

ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს გადავიდა კოლხეთში, რომელიღაც დიდებულთაგან ქუჯის თავისი და მისცა ცოლად და იგი დაამტკიცა ერისთავად... ამ ქუჯიმ კი „აღაშენა ციხეგოჯი“.

ეს ციხე დროთა ვითარებაში დანგრეულა, მაგრამ მისი ნაშთები ნაქალაქარზე ბევრგანაა მიკვლეული. თუ დიდი ზომის თლილი ქვების ფრაგმენტებით ვიმსჯელებთ, ციხე მაგარი, კაპიტალური ნაგებობა ყოფილა, ისე, როგორც ეს შეეფერებოდა კოლხეთის სამეფოს.

ქუჯის დროს და მომდევნო ხანებში აქ რომ ხალხმრავლობა იყო, ამაზე სხვა თუ არაფერი, იმ ეპოქის სამარხების სიმრავლეც მეტყველებს, მიუხედავად ელინისტური ხანის სამაროვნის მრავალგზის გადათხრისა, აქ კიდევ დარჩა ასამდე სამარხი.

ახლა ისმება კითხვა — თუ რა როლი ეკისრებოდა კოლხეთის სამეფოში ციხეგოჯს. იქვე ლეონტი მროველთან ვკითხულობთ: „მისცა ქუჯის (ფარნავაზმა) ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი“. აქედან გამოდის, რომ ციხეგოჯი-ნოქალაქევი ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისიდან იყო კოლხეთ-ეგრისის ერთადერთი ცენტრი, საიდანაც ქვეყანას განაგებდა ქუჯი ერისთავი. მართალია, ეს ახრი ვარაუდია, მაგრამ სხვა ვარიანტი არ ჩანს ქართულ თუ უცხოურ წყაროებში: ჯერჯერობით იმ ეპოქაში კოლხეთის ცენტრის ძიებისას უპირატესობა ციხეგოჯს ეკუთვნის. რაც შეეხება კოლხეთის მითოურ დედაქალაქ აიას, რომელიც იხსენიება ბერძენთა და რომაელთა წყაროებში, ჩვენთვის აშკარაა, რომ მისი იდენტიფიკაცია ციხეგოჯ-ნოქალაქევთან შეუძლებელია.

სიმაგრის გარდა გათხრებმა უამრავი რამ მოგვცა. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია საერთოდ საერო ნაგებობათა სიმცირე. აქ კი ორი სასახლის ნანგრევები აღმოჩნდა. ერთი მათგანი, რომელიც IV საუკუნეშია აგებული მცირედაა შერჩენილი, მაგრამ მეორე, VI საუკუნის დამდეგს აგებული, სამსართულიანი ყოფილა. მისი ბადალი აღრეული ხანის საქართველოში ჯერჯერობით არაფერი გვეგულება.

არანაკლებ საგულისხმოა IV-VI საუკუნეების საკულტო ნაგებობები. გამოვლენილია დარბაზული ეკლესიები, ბაზილიკები და გუმბათოვანი ტაძარი. მაგრამ ამ შემთხვევაში არა მარტო სამრავლეა ყურადსაღები, არამედ ისტორიული მნიშვნელობის მეტად საინტერესო შედეგი. აღრეე გვითქვამს და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენს მიერ ახალი ეკლესიების აღმოჩენით ფაქტობრივი მონაცემები განუმტკიცდა აღრე გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ ეგრისის სამეფოში, დასავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა მიუღიათ არა 523 წელს, როგორც აქამდე ამტკიცებდნენ, არამედ IV საუკუნის პირველ ნახევარშივე, იბერიის, ქართლის სამეფოსთან თანადროულად.

მდიდარი და მრავალფეროვანია ნაქალაქარი და მის გვლივ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. როგორც მოსალოდნელი იყო, მონაპოვრის დიდი უმრავლესობა აღგილობრივი, კოლხურ-ეგრული, მაგრამ ბლომადაა იმპორტულიც. სწორედ ეს უკანასკნელი მასალა გვიჩვენებს ამ ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სხვა ურთიერთობას ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, შემდეგში

ბიზანტიასთან და ირანთან. ხშირად უცხოური თუ ადგილობრივი წყაროები ემთხვევა არქეოლოგიურ მონაცემებს; მაგრამ არის ისეთი მასალა, რომელიც ქვეყნების ურთიერთობის სრულიად ახალ ფურცელს წერს.

გათხრებით მონაპოვარში გამოირჩევა ძველი წელთაღრიცხვით IV-II საუკუნეების პირველი ქართული მონეტები, ეგრეთ წოდებული „კოლხური თეთრი“. იმ ხანებში მთელი მსოფლიოს ქვეყნებიდან განა ბევრი ჭრიდა მონეტებს? სულ რამდენიმე ქვეყანა!

მიწაში შემონახული ოქროსა და ვერცხლის ნატიფად დამუშავებული ნივთებიც მაშინდელ მოქალაქეთა კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. აქ არის როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ნივთები, მაგრამ მათი მომზმარებელნი ხომ ერთნი იყვნენ. ეს ყველაფერი ხომ რიგითი მოქალაქისაა, ხოლო როცა მივაკვლევთ მეფე-დიდებულთა სამარხებს, იქ ხომ გაცილებით უკეთესი ნივთები იქნება! ციხეგოჯი მჭიდროდ დასახლებულ გარეგანი ვაჭრობა-მომხმარებელი“ აღმავალი სირთულით, სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ინფორმაციის საშუალებების პროპაგანდისტულ, აღმზრდელობითს მუშაობას. ამიტომ აუცილებელია სარეკლამო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია სათანადო იდეოლოგიურ სამსახურებთან. ამრიგად, რეკლამა წყვეტს სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებსაც ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირით. ეს საკითხები გაზეთ „კომუნისტშიც“ იყო აღძრული.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სარეკლამო სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენი საზოგადოების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა და რომლებზეც ყურადღება გამახვილდა სკკპ XXVII ყრილობაზე: არათუ ავიყვანოთ ჩვენი პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, არამედ ვაქციოთ კიდეც იგი საეტალონოდ მსოფლიოში.

პროდუქციას გასაღება სჭირდება, გასაღებისათვის კი რეკლამაა აუცილებელი. მცდარია შეხედულება, რომ კარგი საქონელი არაფერი ვთქვათ მარკეტინგსა და ფოტოგრაფიაზე. მათ რეკომენდაციებს ეყრდნობა შემდგომ სახვითი რეკლამა. და რა დიდი სხვაობაც უნდა იყოს კაპიტალისტური და სოციალისტური რეკლამის არსში, გამოცდილების შესწავლა, ალბათ, აუცილებელია.

თუმცა რაღა შორს წავიდეთ, მოსკოვის დიდ უნივერმაღებში კარგა ხანია მუშაობენ სამხატვრო-დეკორატიული კომბინატები, რომლებიც დაკომპლექტებულნი არიან, გარდა ეკონომისტებისა და მხატვრებისა, სოციოლოგებით, ფსიქოლოგებით, ოპტიკოსებით და სხვ.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რეკლამა სინთეზური ხელოვნებაა და მისი ყოველი კომპონენტი მეცნიერულად - უნდა იყოს შესწავლილი და გააზრებული. ასეთი სამსახურის ეკონომიკურ სარგებლობის დღეს ვეღარავინ უარყოფს. მაგრამ როდესაც საქმე სავაჭრო რეკლამაზე მიდგება, შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალება, სარეკლამო კამპანია ან სავაჭრო ობიექტის გფფორმება. როგორც საკავშირო ჟურნალი „რეკლამა“ აღნიშნავს, რეკლამა, წყვეტს რა ამოცანას ფორმულით „წარმოება-ვაჭრობა-მომხმარებელი“ აღ-



19 ივლისი • [illegible] ფურცელი

საქართველო

ფაქტები • მოვლენები

პლანეტაზე ძუვიდოზისათვის

● **ვაშინგტონი. გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისა და შეერთებული შტატების მიერ ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხებია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქ გახსნილი კონფერენციის — „საერთაშორისო უშიშროების მომხრე ქალები: ფორუმი—86“— მონაწილეთა უურადღების ცენტრში.**

„შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში საბჭოთა კავშირის ბოლო წინადადებები შეესაბამება ცაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის იმედებს, — ხაზგასმულია ფორუმზე გავრცელებულ ერთ-ერთ მოწოდებაში. — ჩვენ, დედები, ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობების სახელით ვაცხადებთ, რომ საჭიროა განხორციელდეს სასწრაფო ღონისძიებები საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის განტკიცებისათვის“.

„სსრ კავშირმა შეწყვიტა ბირთვული გამოცდები, რატომ არ შეიძლება ჩვენც იგივე ვქნათ?“ — ასეთი სიტყვებით იწყება „ქალებო იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფურცელი. იგი შეიცავს მოთხოვნას ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისადმი შეუერთდეს საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით შემოღებულ ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმს. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მორატორიუმთან შეერთებას, აღნიშნულია დოკუმენტში, მაგრამ თეთრი სახლი უგულებელყოფს ამერიკელი ხალხის აზრს. ორგანიზაციამ მოუწოდა მშვიდობის ყველა მომხრეს მოაწყონ მასობრივი საპროტესტო აქციები ადმინისტრაციის პოლიტიკის წინააღმდეგ აგვისტოს დამდეგს, როცა აღინიშნება ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული დაბომბვის 41-ე წლისთავი.

● **მეხიკო. შეჩერდეს გამალებული შეიარაღება, შეწყდეს კოსმოსის მილიტარიზაცია და აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდა! — ასეთი მოწოდებით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს მექსიკელ ქალთა ეროვნულმა კავშირმა.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში კავშირის მიერ გაგზავნილ სპეციალურ წერილში ხაზგასმულია, რომ მთავარ საფრთხეს მშვიდობას დღეს ვაშინგტონი უქმნის.

პენტაგონმა, აღნიშნულია დოკუმენტში, ამერიკის სამხედრო ბაზები განალაგა პლანეტის ყველა კუთხეში. თეთრი სახლი იმზადება იმისათვის, რომ პირველმა მიაყენოს ბირთვული დარტყმა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს. ამჟამად, ნათქვამია შემდეგ წერილში, ამერიკის შეერთებული შტატები სახავს ნიკარაგუის წინააღმდეგ პირდაპირი შეიარაღებული აგრესიის გეგმებს. მან ამ ქვეყნის მტრებს სამხედრო დახმარების სახით 100 მილიონი დოლარი გამოუყო. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს ბოლო მოუღოს ლათინური ამერიკის ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დანერგოს კონტინენტის ქვეყნებში ფაშისტური დიქტატორული რეჟიმები.

● **მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის აღმასრულებელი კომისიის კოორდინატორის მოადგილემ ბაიარდო არსემ მოუწოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების სტუდენტი ახალგაზრდობის აქ გახსნილი შეხვედრის დელეგატებს განამტკიცონ ერთიანობა და შეკავშირება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.** მან ხაზი გაუსვა, რომ რეიგანის ადმინისტრაციის კურსმა მკვეთრად გაზარდა ბირთვული კატასტროფის საფრთხე.

ფორუმის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს ლოზუნგით „ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და ჩაურევლობისათვის“, მონაწილეობენ რეგიონის ქვეყნების დაახლოებით 200 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ბ. არსემ კატეგორიულად უარყო ვაშინგტონის ყალბი მტკიცებანი, თითქოს ცენტრალური ამერიკა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფრონტაციის ასპარეზი გამხდარიყოს“. მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება პასუხისმგებლობა რეგიონში სახიფათო სამხედრო დაძაბულობისათვის. მან გულისწყრომით დაგმო აღვირახსნილი სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა, რომელსაც ადგას თეთრი სახლი, ამაოდ რომ ცდილობს ჩაახშოს ნიკარაგუის რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ლათინურ ამერიკაში.

● **ატლანტა. ამერიკის ეროვნული ფერმა გაჩნდა 19 ივლისს დილით თბილისის დიღმის საცხოვრებელი მასივის ცენტრალურ მოედანზე. დაბა ასპინძის კოლმეურნეობის მშრომელებმა — განვლილ შაბათს რესპუბლიკის დედაქალაქში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის მონაწილეებმა თბილისელებს ჩამოუყვანეს ქათმები, ჩამოუტანეს ყველი, სხვა პროდუქტები.**

ბაზრობა, რომელიც ქალაქის პრაქტიკულად ყველა რაიონში მოეწყო, მოსავლის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მაგალითად, ხობის რაიონიდან ჩამოტანილ სიმინდი, ლანჩხუთის რაიონიდან — მწვანილი, ხილი, ფეიქრი, ხახვი, ხვავილაგანი მწვანილი — სულ 120 ტონა.

[illegible] ქალაქის მიმდებარე საბჭოთა მეურნეობები. მათ ბაზრობაზე გამოიტანეს ათობით ტონა ხილი, ბოსტნეული, სხვა პროდუქცია.

(სპეციფორმი).

გვიხმობს საზაფხულო ბაზრობა

იმპროვიზებული მეფრინველეობის ფერმა გაჩნდა 19 ივლისს დილით თბილისის დიღმის საცხოვრებელი მასივის ცენტრალურ მოედანზე. დაბა ასპინძის კოლმეურნეობის მშრომელებმა — განვლილ შაბათს რესპუბლიკის დედაქალაქში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის მონაწილეებმა თბილისელებს ჩამოუყვანეს ქათმები, ჩამოუტანეს ყველი, სხვა პროდუქტები.

ბაზრობა, რომელიც ქალაქის პრაქტიკულად ყველა რაიონში [illegible] ბაზრობის, ბაზრის კოლმეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში მოწეული ფართო ასორტიმენტის პროდუქტი — [illegible], კიტრი, ხახვი, [illegible] — სულ 120 ტონა.

[illegible] ქალაქის მიმდებარე საბჭოთა მეურნეობები. მათ ბაზრობაზე გამოიტანეს ათობით ტონა ხილი, ბოსტნეული, სხვა პროდუქცია.

(სპეციფორმი).

● ატშ-ინგლისი

თეთრი სახლის ზეგავლენით

ვაშინგტონი. თეთრი სახლის ზეგავლენით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა დაამტკიცა ამერიკა-ბრიტანეთის ახალი ხელშეკრულება დამნაშავეთა გაცვლის შესახებ.

შეთანხმება, რომელიც ერთი შეხედვით შეესაბამება სახელმწიფოთა ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, სინამდვილეში გამიზნულია, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ქადაგებენ ოფიციალური ლონდონისადმი არასასურველ პოლიტიკურ შეხედულებებს. საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატებიდან იმ პირების გასახლებას, რომლებიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ ირლანდიაში „ტერორისტულ საქმიანობაში“. როგორც ცნობილია, კონსერვატორთა მთავრობა „ტერორისტებს“, უწინარეს ყოვლისა უწოდებს იმათ, ვინც აშკარად ილაშქრებს ოლსტერში უაიტჰოლის რეპრესიული პოლიტიკის, ბრიტანეთის არმიისა და უშიშროების ძალების მიერ ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური უმცირესობის სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის სასტიკი ჩახშობის წინააღმდეგ.

ახალი მორიგება ცვლის ამერიკა-ბრიტანეთის 1972 წლის შეთანხმებას, რომლის ძალითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება ჰქონდა არ გადაეცა დიდი ბრიტანეთისათვის ის პირები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ პოლიტიკური აქციები.

◆ ვიეტნამი-ჩინეთი

დააბრუნეს სამშობლოში

ჰანოი. ჰუმანური მოსაზრებით ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ 72 ჩინელ მებადურს, რომლებიც ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში თევზის ჭერის დროს დაიკავეს, ნება დართო გემებიანად სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ვიეტნამის მხარემ მათ საჭირო საწვავი და სურსათი მისცა. როგორც ვიას სააგენტო იუწყება, ჩინელმა მებადურებმა მადლობა გადაუხადეს ვიეტნამის მთავრობას ჰუმანური დამოკიდებულებისა და თავიანთ ოჯახებში დაბრუნებულად პირობების შექმნისათვის.

კინოფესტივალი

ჟრიგები განაწილდა

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კარლოვი-ვარში დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი. მსოფლიო კინემატოგრაფიის ამ წარმომადგენლობითი დათვალიერების გრან-პრი „ბროლის გლობუსი“ მიენიჭა ავსტრალიელი რეჟისორის ბილ ბენტლის ფილმს „სიკვდილის ქუჩა“. მასში მოთხრობილია ვიეტნამის ომის ვეტერანის ტრაგიკული ბედის შესახებ. საბჭოთა რეჟისორის ალექსანდრე ზარხის საკონკურსო ფილმს „ჩიჩერინს“ მიენიჭა ჩეხოსლოვაკიის შვიდობის კომიტეტის ჯილდო, ხოლო ამ ფილმში გადაღებულ საბჭოთა მსახიობს ლეონიდ ფილატოვს — ფესტივალის უმაღლესი პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

სურათებზე: ირმის ნახტომი ● „ოჰ, ეს მკაცრი მსაჯები...“ ● დისტანციაზე არიან მარათონელები.

ბოლო სტარტის წინ

კეთილი ნების ასპარეზობათა მთავარ პრესცენტრში კიდევ ერთი საინტერესო პრესკონფერენცია (გაიმართა. ამჯერად ჟურნალისტებთან სასაუბროდ მოვიდნენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები. აქ შეიკრიბნენ კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონალდ ჰალი (აშშ), ტანვარჯიშისა — იური ტიტოვი (სსრ კავშირი), აკრობატიკისა სტოიან სატროვი (ბულგარეთი), აფრონსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია კისლოვი (სსრ კავშირი) და წარსულში სახელგანთქმული უნგრელი მოკრივე ლასლო პაპი. ამ ფედერაციათა ხელმძღვანელებმა და ლასლო პაპმა მაღალი შეფასება მისცეს მოსკოვში მიმდინარე კეთილი ნების ასპარეზობებს. მათ აღნიშნეს, რომ სპორტსმენები ავლენენ დახვეწილ ოსტატობას, შეუპოვრად იბრძვიან და ამასთან ერთად, თვით უაღრესად დაძაბულ სიტუაციებშიც კი ერთმანეთის მიმართ კორექტულ, რაინდულ და კეთილმოსურნე განწყობილებას გამოხატავენ. დონალდ ჰალმა განსაკუთრებით შენიშნა, რომ მოკრივეთა მომზადება საუცხოოა, ორთაბრძოლები საინტერესოდ მიმდინარეობს და, რაც მთავარია, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბოლოს და ბოლოს ორი უდიდესი ქვეყნის — სსრ კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენებს კეთილმა ნებამ შესაძლებლობა მისცა, შეგობრულ ვითარებაში მოსინჯონ ძალები. ეს უკვე მარტო სპორტულ სარბიელზე გამარჯვებისათვის ბრძოლა როდია, იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი — მშვიდობისათვის ხელიხელჩაკიდებული ბრძოლაა, გულწრფელი მეცადინეობაა შეგობრული ვითარების დამყარებისათვის. ჰალმა ისიც თქვა, რომ იგი ჩვენი ქვეყნიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდება სამშობლოში, და დიდი კმაყოფილება გამოთქვა გულღია და მეგობრული მასპინძლობისათვის. სტოიან სატროვმა თავისი გამოსვლა ასეთი სიტყვებით დაამთავრა: — კეთილი ნების ასპარეზობებს ისტორიაში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭება და ეს ახალი ასპარეზობანი, უდავოდ, მსოფლიოს სპორტული მოძრაობის ანალებში მართლაც საპატიო ადგილს დაიკავებს.

ახლა კი გავეცნოთ ასპარეზობათა მორიგი კალენდარული დღის შედეგებს.

ფრანგურთელ ვაჟთა გუნდების ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: პოლონეთი-ბულგარეთი — 2:3, ბრაზილია-ჩეხოსლოვაკია — 1:3, აშშ-საფრანგეთი — 3:1, იაპონია-სსრ კავშირი — 2:3. ახლა ჯერი დადგა გადამწყვეტი მატჩებისა. პირველი ადგილისათვის შეხვედრაში სსრ კავშირის ფრენბურჟელთა მეთოდიები იქნებიან აშშ-ს სპორტსმენები, მესამე ადგილისათვის კი ერთმანეთის პირისპირ დადგებიან იაპონელები და ფრანგები.

ხელგურთელთა ტურნირები უკვე დამთავრდა. გთავაზობთ ბოლო მატჩების შედეგებს: **ქალები:** აშშ-გფრ — 13:19, იაპონია-დანია — 19:25, უნგრეთი-სსრ კავშირი — 15:26; **ვაჟები:** ისლანდია-ჩეხოსლოვაკია — 19:20, რსფსრ-აშშ — 27:22, პოლონეთი-სსრ კავშირი — 18:26. როგორც ქალთა ისე ვაჟთა გუნდებს შორის ოქროს მედლებს დაეუფლნენ საბჭოთა ხელბურთელები. ქალთა მაქსიმუმი დააგროვეს ჩვენმა ქალებმაც (10) და ვაჟებმაც (8). ქალთა შორის მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გფრ-ის (8), უნგრეთის (6), დანიის (4), იაპონიის (2), და აშშ (0) გუნდები; ვაჟებში მეორე-მეხუთე ადგილები შესაბამისად დაიკავეს აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიის (4-4), ისლანდიისა და პოლონეთის (2:2) კოლექტივებმა.

გრძელდება შეჯიბრება **სპორტულ ტანვარჯიშში** ქალთა შორის. გუნდური ასპარეზობის შემდეგ ქალებმა პირადი პირველობა გაითამაშეს: მრავალჯერადნი შორის პრიზიორთა მთელი კვარცხლბეკი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს. პირველ ადგილზე გამოვიდა ვერა კოლესნიკოვა (78,55 ქულა), მეორეზე — ელენე შუშუნოვა (78,40), მესამეზე — ოქსანა ომელიანჩიკი (78,10).

** კიუდოისტებმა** გაითამაშეს მედლების მეოთხე კომპლექტი: 78 კგ-მდე წონითს კატეგორიაში უძლიერესის წოდება დაისაკუთრა საბჭოთა ათლეტმა ვლადიმერ ჩესტაკოვმა, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა მოუგო მარსელ პიეტრის (საფრანგეთი), მესამე ადგილები წილად ხვდათ ჯორდანო ვისმარას (იტალია) და განდბოლდ ყამბალნმს (მონღოლეთი).

შეჯიბრებაში ჩაებნენ **ძალოსნებიც**, რომლებიც მედლებს სამ წონითს კატეგორიაში გაითამაშებენ. პირველ—100 კგ-მდე წონითი კატეგორიის ათლეტთა შორის უძლიერესი იყო რუსლან ბალაევი, რომელმაც ოჩეიდში 412,5 კგ დააგროვა: ვერცხლის მედალი წილად ხვდა ვლად ნიკეკუს (რუმინეთი) — 410 კგ. ბრინჯაოსი იური დანდიკს — 405 კგ.

ტალინში **აფროსნებმა** ბოლოსწინა, მეექვსე რბოლა განვლეს. „ვარსკვლავის“ კლასის ნავებით ეს ეტაპი მოიგო მარკ რეინოლდსმა (აშშ) და ახლა მეშვიდე რბოლა როგორც უნდა დამთავრდეს, საბოლოო გამარჯვება მას დარჩება. თბილისელი გურამ ბიგანიშვილი მეორე ადგილზეა. მეშვიდე რბოლის წინ რეინოლდსს მხოლოდ სამი საჯარიმო ქულა ჰქონდა, ბიგანიშვილს — 9.

და კიდევ ერთი. იმათთვის, ვინც გულისყურით ადევნებს თვალს კეთილი ნების ასპარეზობებს, მასთან დაკავშირებულ ამბებს, საინტერესო იქნება ისიც, რომ დღეისათვის ამ დიდ შეჯიბრებებზე უცხოეთიდან ჩამოვიდა 2380 სპორტსმენი და საპატიო სტუმარი: ასპარეზობებზე აღინიშნა მსოფლიოს 6 რეკორდი, ევროპის — 5, საკავშირო — 10 და მრავალი ქვეყნის ათობით ეროვნული მიღწევა. მთავარ პრესცენტრში ახლა უკვე აკრედიტებულია 1058 ჟურნალისტი, მათგან 706 უცხოელი და 352 საბჭოთა პრესის მუშაკი.

მაშ ასე, კეთილი ნების პირველი ასპარეზობები მიიწურა, ჩვენი გაზეთის უახლოეს — სამშაბათის ნომერში ამ შეჯიბრებათა თაობაზე ბოლო რეპორტაჟს გავაცნობთ მკითხველებს.

ჯ. ენუქიძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი (ტელეფონით).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
24 ივლისი
საბჭოთა კავშირის პირველობა

ფეხბურთი

თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „ზენიტი“

დასაწყისი 20.00 საათზე.

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 21 და 22 ივლისს, სტადიონის სალაროებში — 21 ივლისიდან, შეფარდებით ერთი ერთზე.

ადონიმენტის მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ 24 ივლისს 12 საათამდე № 7 სალაროში.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე, შესვენება — 14-დან 15 საათამდე.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 23 ივლისს „დინამოს“ სტადიონზე, დასაწყისი 19 საათზე.

ავდრის შემთხვევაში მატჩი ჩატარდება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

● იტალია

წინააღმდეგობა ვერ დაძლია

რომი. იტალიაში ჭიანურდება მთავრობის კრიზისი. ჯულიო ანდრეოტმა, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნა დაავალა, გადაწყვიტა ორშაბათამდე გადადოს შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან, რათა მოახერხოს ქვეყნის პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან გამართული პოლიტიკური კონსულტაციების შედეგები.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ვერა და ვერ შეძლო ჩაეცხრო წინააღმდეგობა ხუთპარტიულ მმართველ უმრავლესობაში ორ ყოფილ პარტნორს — ქრისტიან დემოკრატებსა და სოციალისტებს შორის. ისინი განაგრძობენ გაფთრებულ ბრძოლას მომავალ კაბინეტში ლიდერობისათვის.

◆ უვეიცარია

დამთავრდა კონსულტაციები

ჟენევა. აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონსულტაციები ქიმიური იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვის ეფექტიანი და კონტროლს დაქვემდებარებული საერთაშორისო კონვენციის დადების პრობლემის ყველა ასპექტის მიხედვით. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა ელჩი ვ. ლ. ისრაელიანი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — ელჩი დ. ლოვიცი.



თაგისუფლების ქანდაკების პენტაგონისეული ვარიანტი „ლუდაუ მატი“, უნგრეთი.

● აშშ

რეიგანის „იმედის იარაღი“

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რეიგანი გამოვიდა უმაწვილების წინაშე, რომლებიც ნებაყოფლობის საფუძველზე მუშაობენ გასამხედროებული ორგანიზაციისათვის „ამერიკის ლეგიონისათვის“. რეიგანმა მათ „მშვიდობიანი მომავალი“ აღუთქვა, ოღონდ ერთი პირობით: თუ ამერიკის შეერთებული შტატები მომავალშიც დაიჩქარებს გამალებულ შეიარაღებას და მას კოსმოსში გადაიტანს.

პრეზიდენტმა თავის ჩვეულ „არგუმენტაციას“ მიმართა და განაცხადა, შეერთებული შტატების მიერ სამხედრო კუნძულების ნიადაგ ზრდა ამერიკას „ძლიერსა და თავისუფალ“ ხდის და ხელსაც კი უწყობს შეიარაღებისადმი კონტროლის თაობაზე მოლაპარაკებასო. რაც შეეხება „სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას“, პრეზიდენტის თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა... „იმედის იარაღი, იმ იმედისა, რომ ჩვენ შეგძლებთ ავაშენოთ უკეთესი ცხოვრება, რომ ახალგაზრდა ამერიკელებს არასოდეს ეცოდინებათ ომის საშინელებანი“. პრეზიდენტს კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ გამალებული შეიარაღება და „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელება არაფერ არ ემუქრება, არამედ ძირს უთხრის შეერთებული შტატების უშიშროებას, ვინაიდან ამის შედეგად გამალებული შეიარაღება შეიძლება საერთოდ აღარ დაექვემდებაროს კონტროლს. რაც, ცხადია, გაზრდის თერმობირთვული კატასტროფის საფრთხეს. ეს, როგორც ჩანს, ამერიკის ახალგაზრდობამ „არ უნდა იცოდეს“.

◆ ვიეტნამი

დაბრუნდა ოჯახში

ჰანოი. ჰუმანური მოსაზრებით ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ 72 ჩინელ მებადურს, რომლებიც ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში თევზის ჭერის დროს დაიკავეს, ნება დართო გემებიანად სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ვიეტნამის მხარემ მათ საჭირო საწვავი და სურსათი მისცა. როგორც ვიას სააგენტო იუწყება, ჩინელმა მებადურებმა მადლობა გადაუხადეს ვიეტნამის მთავრობას ჰუმანური დამოკიდებულებისა. და თავიანთ ოჯახებში დაბრუნებულად პირობების შექმნისათვის.

კაპიტალის სამყაროში

დიდი ბიზნესის საამებლად

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შემოსახმებელ კომიტეტში მწვავე კამათი მიმდინარეობს წარმომადგენელთა პალატის და სენატის მიერ შეთავაზებული საგადასახადო რეფორმის პროექტების გარშემო. ერთ-ერთი დაბრკოლების ლოდი დიდი ბიზნესის გადასახადები. პალატა მოითხოვს მათ შემცირებას შემოსავლის დონის ანდლანდელი 46 პროცენტიდან 36 პროცენტამდე, სენატი კი — ერთბაშად 33 პროცენტამდე.

ამ საკითხმა, თითქოს დიდად უნდა შეაშფოთოს ამერიკის კორპორაციები, მაგრამ ბევრი მათგანის შტაბ-ბინაში კონგრესში გამართულ კამათს სრული გულგრილობით უცქერიან. მიზეზი უბრალოა: კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს ისინი არასოდეს არ იხდიდნენ და არც აპირებენ მათ გადახდას.

ამას ადასტურებს უკანასკნელ ხანს აქ გამოქვეყნებული მთელი რიგი გამოკვლევების შედეგები. ეროვნული ორგანიზაციის „ტექს ენალისტსის“ მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესმა კორპორაციებმა 1985 წელს სახელმწიფო ხაზინას საშუალოდ თავიანთი შემოსავლის მხოლოდ 18,66 პროცენტი გადაურიცხეს. ამასთან, ეს მაჩვენებელი განუხრელად მცირდება: ჯერ კიდევ 1984 წელს იგი 23,15 პროცენტს შეადგენდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საანგარიშო სამმართველო თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ამერიკის კორპორაციათა 54 პროცენტი დაუსჯელად უმალავს საგადასახადო სამმართველოს თავის მრავალმილიარდიან მოგებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „საგადასახადო სამართლიანობისათვის მებრძოლი მოქალაქენი“ — მიერ შეგროვილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ ქვეყნის 250 უმდიდრესი კორპორაციიდან ნახევარზე მეტი უკანასკნელ ხუთ წელიწადში სულ ცოტა ერთ წელიწადს მაინც არ იხდიდა არავითარ გადასახადს. 42 კომპანიის გადასახადები არ გადაუხდია 1982-დან 1985-ის ჩათვლით, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სიდიდით მერვე კომპანიამ „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფმა“, რომელმაც მიელ აღნიშნულ პერიოდში თითქმის 25 მილიარდი დოლარი მოგება მიიღო, მოახერხა ხაზინისათვის არც ერთი კაპიკი არ გადაეხადა, პირიქით.... მისგან კომპენსაციის სახით უკან დაებრუნებინა წინათ „ზედმეტად“ გადახდილი 636 მილიონი დოლარი.

„ამერიკის ოჯახთა დიდ უმრავლესობას ვერც კი წარმოუდგენია, რომ არ გადიახდოს წლის მანძილზე გადასახადები. მაგრამ ამერიკის უდიდესი კორპორაციების უმეტესობისათვის — ეს ჩვეულებრივი მოვლენაა“, — განაცხადა ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რობერტ მაკინტაირმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატების ისტორიაში ყველაზე ძლიერი გვალვის გამო მთლიანად დაიოჭა ხორბლის, სიმინდის, სოიისა და ბამბის მოსავლის დიდი ნაწილი. წყლის დონემ მდინარეებსა და ტბებში რეკორდულად დაბალ ნიშნულს მიაღწია. ბევრი წყალსატევი ამოშრა. ფერმერები პირუტყვს სასაკლაოებში ვადაზე ორი თვით ადრე გზავნიან: მათთვის არც საშმელი, არც სასმელია. ზმები ხეები და სცვივათ ფოთლები. იღუპება საუკუნოვანი მუხებიც. ამასთან, მეტეოროლოგიკ პროგნოზებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთში პაპანაქებას დასასრული არ უჩანს, წვიმები არ იქნება სულ ცოტა ოქტომბრამდე.

სტიქია მძვინვარებს

უძლიერესი გვალვა შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეიქმნა სპეციალური კომისია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატებში სავალალო ვითარების შესასწავლად.

ამ რაიონში თითქმის ორი კვირაა მომაკვდინებელი სიცხე დგას. მან უკვე შეიწირა ოცამდე ადამიანის სიცოცხლე. დაიწყო პირუტყვისა და ფრინველის მასობრივი გაწყდომა, მარტო ჯორჯიის შტატში ერთი კვირის მანძილზე დაიღუპა 750 ათასი წიწილა. იღუპება თევზი წყალსატევებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატების ოფიციალურ ინფორმაციებზე, ეკონომიკურ ზარალი ამ ბუნებრივ კატასტროფებთან ერთად, ასევე ადამიანური ფაქტორიც — ადამიანთა ბინადრობა ამ ადგილებში, ეკონომიკური